საქართველო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება N 37 467

13/04/2018

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 780.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.45.376) პრივატიზების შესახებ ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონის გამოცხადების თაობაზე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 780.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.45.376) პრივატიზების შესახებ გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონზე არ მოხდა აღნიშნული ქონების განკარგვა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფსასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე-2 მუხლის „ნ“-ქვეპუნქტის მიხედვით, ვადაგაგრძელებული აუქციონი არის აუქციონი, რომელიც იმართება იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა და ამ ქონების აუქციონზე გატანა ხდება იმავე პირობებით და ფასით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54–ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“–ქვეპუნქტის „დ.ა“–ქვეპუნქტის, „ე“–ქვეპუნქტის „ე.ე“–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფსასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №38 261 განკარგულების მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 780.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.45.376) პრივატიზება განხორციელდეს ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.2. ვადაგაგრძელებულ ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 780.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.45.376) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 300 (სამასი) ლარი.

1.3. ვადაგაგრძელებულ ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 780.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.45.376) ბიჯი განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%–ს ოდენობით.

1.4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 780.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.45.376) ვადაგაგრძელებულ ელექტრონულ აუქციონზე საგარანტიო თანხა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 20%–ს ოდენობით.

1.5. ვადაგაგრძელებულ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. თუ ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ირიცხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვალერიანე ფოცხვერია

მუნიციპალიტეტის მერი